UDC 327
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-3-150-172

ძალის კონცეპტუალური პრობლემატიკა საერთაშორისო ურთიერთობებში

დავით ხუფენია პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: khupenia.d@gtu.ge

ომარ ლორთქიფანიძე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: omikolordkipanidze@gmail.com

რეცენზენტები:

ს. მიდელაშვილი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: midelashvilisopo07@gtu.ge

ვ. მოდებაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: modebadzevaleri07@gtu.ge

ანოტაცია. საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში ცნება „ძალა“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა, რომლის ფარგლებშიც ანალიზდება ქვეყნებს შორის ურთიერთობის მთავარი პრობლემა – ომისა და მშვიდობის საკითხი. „ძლიერების“ საფუძველზე საერთაშორისო აქტორები აანალიზებენ ერთმანეთის შესაძლებლობებს, იღებენ გადაწყვეტილებებს და აფასებენ საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის ხარისხს. ცნება „ძალაუფლება“ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერ-ანალიტიკოსებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ტერმინი „ძალა“ და მისგან გამომდინარე „ძალაუფლება“ ძალიან ხშირად არასწორად ინტერპრეტირდება (განსაკუთრებით პოლიტიკის მეცნიერებებს მიღმა არსებულ დარგებში), მეტიც, ძალიან ხშირად ატარებს მეცნიერებისთვის შეუფერებელ, სტერეოტიპულ ხასიათს.

ტერმინ „ძალის“ კონცეპტუალური პრობლემატიკა აღმოვაჩინეთ პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებებში. ვფიქრობთ, აღ-

ნიშნული ცნების არასწორი (ვიტყოდით, არასიღრმისეული) ინტერპრეტაცია იწვევს ანალიტიკურ შეცდომებს. ქვეყნების სიძლიერისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალის მცდარი გაგების საფუძველზე მიიღება არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რაც ხელს უშლის ომის პრევენციასა და მდგრადი მშვიდობის შენებას.

წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია პოლიტიკის მეცნიერების მიღმა არსებულ თანამედროვე სამეცნიერო დარგებში ცნება „ძალისადმი" ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზები; გამოკვლეულია საერთაშორისო ურთიერთობებში (ყურადღება ექცევა ნეორეალიზმის სკოლის წარმომადგენლების შეხედულებებს) დამკვიდრებული განმარტებების სუსტი მხარეები და მოცემულია აღნიშნული ცნების გადააზრების წარმატებული მაგალითები. აგრეთვე სტატიაში ვიკვლევთ აღნიშნული ტერმინის ისტორიულ ევოლუციას და ვცდილობთ დასკვნით ნაწილში წარმოვაჩინოთ პრობლემატიკის აქტუალობა და ტერმინის კონცეპტუალური განვითარების საჭიროება.

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოების დილემა; ცნების განვითარება; ძალა; ძალაუფლება.

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების ჩამოყალიბებასთან და პირველი გლობალური სისტემების კვლევებთან ერთად ყოველთვის უდავო არგუმენტად ითვლებოდა თეზისი, რომ ნებისმიერი ახალი საერთაშორისო სისტემის (წესრიგის) ფორმირების კატალიზატორი არის მასშტაბური ომი. მაგალითისთვის, თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მკვლევარი, საგარეო ურთიერთობების საბჭოს (Council on Foreign Relations) პრეზიდენტი რიჩარდ ჰაასი მიიჩნევდა, რომ მსოფლიო წესრიგი სრულდება მასშტაბური კატაკლიზმების ფონზე (Haass, 2019, გვ. 22) (დაახლოებით ასეთივე შინაარსის იდეას იმეორებს ყველა, თანამედროვე გავლენიანი საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი სკოლა). მაგრამ, ამჟამად არსებულმა მსოფლიო წესრიგმა აღნიშნული საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის „ჭეშმარიტება" ძლიერ შეარყია, ვინაიდან XX ს. 90-იან წლებში მსოფლიო წესრიგის ფორმირება მოხდა არა კინეტიკური ომისა და დაპირისპირების ფონზე (ძალის პირდაპირი გამოვლენით), არამედ აშშ-ის იდეოლოგიური, სამხედრო-ტექნიკური და ეკონომიკური დომინირების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის კვლევის პრობლემატიკაში აქტიურად ჩაერთნენ პოლიტოლოგიისა და მისი განშტოებების მიღმა მოღვაწე მეცნიერები, რომლებმაც გლობალური წესრიგის ფორმირების საკითხში შემოიტანეს ახალი ელემენტები – უმთავრესად ეკონომიკა, კულტუროლოგია, სოციალური ფსიქოლოგია და ტექნოლოგიები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის პრობლემატიკამ განიცადა ძლიერი გარდატეხა. ვგულისხმობთ, თუ ბოლო საუკუნემდე ქვეყნებს შორის ურთიერთობების შესწავლის საკითხში მთავარი სიტყვა ეთქმოდა საერთაშორისო ურთიერთობების სკოლებს, მათთვის დამახასიათებელი აქსიომებით (მაგ. ინტერესები, ერი, ძალა/ძალაუფლება, სისტემურობა, წესრიგი) დღეს უკვე აქტიურად განიხილება საერთაშორისო აქტორებს შორის ურ-

თიერთობებში ეკონომიკური, ცივილიზაციურ-იდეოლოგიური მიკუთვნების, მატერიალურ-ტექ-ნიკური, ინსტიტუციური მოწყობისა და სხვა ფაქ-ტორები. მეტიც, უკიდურესობაში რომ ჩავვარდეთ, შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ მეცნიერებებში პოლიტიკურმა პარადიგმამ გადაიწია უკანა პლანზე და ნიკოლაი ბერდიაევის ცნობილი ფრაზა: „პო-ლიტიკა უნდა ემსახურებოდეს ეკონომიკას“ (Ber-dyaev, 1930, გვ. 3) სამეცნიერო წრეებსა და სამო-ქალაქო საზოგადოებებში უკიდურესად პოპულა-რული გახდა.

აღნიშნული მოცემულობა, რა თქმა უნდა, არ წა-რმოიქმნა მხოლოდ ერთი ისტორიული მოვლენის საფუძველზე. მას, ჩვენი აზრით, ფუნდამენტში უდევს ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის ტენ-დენციები – უმთავრესად თანამედროვე დასავლუ-რი ეთიკა, რომელსაც არნახული ბიძგი მიეცა პირ-ველი და მეორე მსოფლიო ომების შემდგომ.

თანამედროვე კაცობრიობის (უფრო ზუსტად კი დასავლეთის) წარმოდგენები ადამიანის ბუნებაზე, კონკრეტულად კი ჰუმანიზმის ეთიკა, წარმოადგენს უახლეს ტენდენციას, რომელიც ძალიან მჭიდროდ დაინერგა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და მეცნიერებებში. თავისი რევოლუციური და უკომპ-რომისო ხასიათიდან გამომდინარე, ჰუმანიზმი შეც-დომით წარმოდგენილია, როგორც ზეისტორიული ურყევი ჭეშმარიტება. არადა, უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლური ჰუმანიზმის საყოველთაობაზე პრეტენზია, უმთავრესად, გამაგრებულია მეოცე საუკუნის კატაკლიზმებისადმი შიშით და რეალუ-რად იგი ჩვენ მიერ ჩადენილ დანაშაულზე კონტრ-რეაქციაა. თომას ჰობსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰუმანიზმი და მისი როლი ჩვენს პოლიტიკურ-სო-ციალურ რეალობაში, უმთავრესად, ნაკარნახებია ძალადობრივი ურთიერთგანადგურების შიშით[1]. აღნიშნული ტენდენციების ფონზე და ლიბერალუ-რი პარადიგმის გაძლიერებასთან ერთად, დღეს თვალს ვადევნებთ ძალის, როგორც ონტოლოგიუ-რი კატეგორიის ჩანაცვლების მცდელობას. შესაბა-მისად, ჩვენი აზრით, ძალამ გადაინაცვლა მატერია-ლურ (ინსტრუმენტულ) სფეროში, ხოლო წინა პლანზე წამოიწია ჰუმანიზმის პრიმატმა (ლიბერა-ლიზმის სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავარი ღირე-ბულებები გახდა კეთილდღეობა და ბედნიერება).

დასავლეთში აღნიშნულმა ეთიკურმა რევოლუ-ციამ საბოლოოდ გამოიწვია ის ეფექტი, რომ ოდით-განვე პოლიტიკურ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში დამკვიდრებულმა ცნებებმა, წარმოდგენებმა და სულაც ტერმინებმა, განიცადეს ტრანსფორმაცია – ჰუმანიზმის ფარგლებში არაპოპულარული გახდა იდეები ადამიანის ეგოისტური და ძალაუფლე-ბისკენ მიდრეკილი ბუნების თაობაზე. აქედან გა-მომდინარე, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების ერთ-ერთი ცენტ-რალური (კრიტიკულიც) ცნება „ძალა“ და მისგან გა-მომდინარე ტერმინები „ძალაუფლება“ და „სიძლიე-რე“ სულ უფრო ნეგატიური სიტყვის მნიშვნელობას იძენდა, რის გამოც ისინი სამეცნიერო მეინსტრი-მულ დისკურსში დამკვიდრდნენ ვიწროდ ინსტ-რუმენტული ნიშნით – ვინაიდან მატერიალური

[1] თომას ჰობსის ფილოსოფიის მთავარი აქსიომა იყო, რომ ძალადობრივი სიკვდილი წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე საშიშ ფენომენს, შესაბამისად ადამიანთა სამოქალაქო საზოგადოებად ორგანიზება (ლევიათანის შექმნა), უმთავრესად, ნაკარნახებია თვითგადარჩენის ინსტიქტით.

საგანი ვერ იქნება „კარგი“ ან „ცუდი“. არადა, პლატონიდან დაწყებული, განსაკუთრებით თომას ჰობსთან და შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური სკოლების წარმომადგენლებთან, ჩვენ ვხედავთ, რომ მოაზროვნეები პოლიტიკური, მეტიც, სოციალური პროცესების აღწერისას საყრდენ ცნებად ყოველთვის იღებენ „ძალას“ ან მის შესატყვის ცნებებს (რა თქმა უნდა, სხვადასხვა განმარტებითა და ინტერპრეტაციით, მაგრამ, ფუნდამენტურ დონეზე, მაინც მსგავსი გაგებით). აღნიშნული ყველაზე მასშტაბური, ვიტყოდით, ყველაზე რადიკალური ფორმით, წარმოაჩინა გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ, რომელმაც ონტოლოგიურ ჭეშმარიტებად ანუ სამყაროს წარმმართველ კანონზომიერებად წარმოაჩინა „ძალაუფლების ნება“ და აბსოლუტურად ყველა სოციალური პროცესი დაუქვემდებარა „ძალის კანონს“.

ზემოთ აღწერილი მოვლენების, თანამედროვე ტენდენციებისა და სამეცნიერო მეინსტრიმის გავლენის ქვეშ კლასიკური ცნება „ძალა“ (ძალაუფლება, სიძლიერე) კონცეპტუალური განვითარების საკითხში სტაგნაციის მდგომარეობაში შევიდა, რის გამოც თავისი აღწერილობითი პოტენციალი შეუსუსტდა.

იდეა „ძალა“ იქმნებოდა და ვითარდებოდა, როგორც ონტოლოგიური კონცეფცია, მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერების ეფექტით – დღეს კი იგი გახდა ვიწროდ ინსტრუმენტული (მატერიალური) ხასიათის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძალა“ იყო ადამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილი და სოციალური პროცესების წარმმართველი კატეგორია, ხოლო დღეს იგი გახდა მატერიალური საგნების შემადგენელი და მიიღო ვიწროდ ინსტრუმენტული მნიშვნელობა.

კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ ხდება სოციალურ მეცნიერებებში ცნება „ძალის“ ასეთი აღქმა, არის ის, რომ ძალის, როგორც სოციალური ფენომენისა და ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ნიშნის აღიარებისას, ჩვენ აპრიორი უნდა ვაღიაროთ ძალის არათანასწორზომიერი გადანაწილება და მისი კონკურენციული ხასიათი. აქედან გამომდინარე, ჩვენ მარტივად მივდივართ თანამედროვე ტენდენციებს აცდენილ დასკვნამდე, რომ ადამიანები არათანასწორნი არიან. ძალაუფლება, როგორც რესურსი, სოციუმში ბადებს ელიტებს, შესაბამისად, პრივილეგიებს, არათანასწორუფლებიანობას, სოციალურ იერარქიას და ა.შ. ეგალიტარულ ღირებულებებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში იმის აღიარება, რომ ადამიანები ბუნებრივად და სოციალურად არათანასწორები არიან – არაპოპულარულია. შესაბამისად, სამეცნიერო მეინსტრიმი წარიმართა იმ მიმართულებით, სადაც ყველაზე პრივილეგირებული პოზიცია უჭირავს საყოველთაო კეთილდღეობის მაქსიმალიზაციაზე და ხელოვნურად თანასწორობის შექმნაზე ორიენტირებულ „გადამანაწილებელ“ სამეცნიერო დარგებს. აღნიშნული, სოციალური ურთიერთობების სფეროდან სწრაფადვე გადავიდა საერთაშორისო ურთიერთობებშიც, სადაც, ზუსტად იმავე ტენდენციებით ცდილობენ სახელმწიფოებს შორის სიძლიერის ფუნდამენტური კვლევები გადაიტანონ ეკონომიკურ-მატერიალური მონაცემების კვლევებზე. ასეთი მიდგომის არაფრის მთქმელი, მეტიც, მავნე ხასიათის კარგი მაგალითია ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ანალიტიკური ჟურნალის U.S.News-ის უახლესი ანგარიში, რომლის მიხედვით მსოფლიო მასშტაბით რუსეთის ფედერაცია მესამე

ადგილზეა სამხედრო სიძლიერით, ხოლო უკრაინა მე-14-ზე (U.S.News, 2023). აღნიშნული რეიტინგი რუსეთ-უკრაინის ომის ერთი წლის თავზე ვერავითარ ემპირიულ კრიტიკას ვერ უძლებს. ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნების ცოცხალი ძალის, სამხედრო ბიუჯეტისა და ტექნიკის რაოდენობა არ არის სახელმწიფოს სიძლიერის ობიექტური მაჩვენებელი. ზუსტად ასეთი ტენდენციებისა და დღეისთვის პოპულარული აღწერლობით-პროგნოზირებადი თეორიების სისუსტის გამო, ვფიქრობთ, რომ საჭიროა ახლებური მიდგომა.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ დღეს პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ახლებურად გააზრებულ იქნეს ცნება „ძალა“ – მოხდეს ტერმინის ზუსტი დემარკაცია, პრობლემატიკის განსაზღვრა, მახასიათებლების გამოვლენა და სხვა. აღნიშნული კიდევ უფრო აქტუალური გახდა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ვინაიდან ომის დაწყებამდე (და ახლაც, მიმდინარე რეჟიმში) ჩვენ არ გვეგულება არცერთი მეცნიერი, რომელიც მიახლოებით მაინც სწორად გააანალიზებდა რუსეთისა და უკრაინის სახელმწიფოების სიძლიერეს, მათი ომის წარმოებისა და თავდაცვის პოტენციალს, მათ ხელთ არსებულ ძალის ინსტრუმენტებს.

ძირითადი ნაწილი

1. ცნება „ძალის“ (ძალაუფლების) ისტორიული ევოლუცია.

პირველი ცივილიზაციების ჩამოყალიბებისთანავე ფილოსოფოსები, რელიგიური ავტორიტეტები და მოაზროვნეები აღწერდნენ ადამიანებს შორის სხვაობას სოციალურ იერარქიაში და, რაც მთავარია, ცდილობდნენ ამ დიქოტომიის მიზეზების ახსნას. მაგალითისთვის, ჯერ კიდევ არისტოტელე ადამიანთა არათანასწორობასა და, შედეგად, სოციალურ იერარქიას ხსნიდა კონკრეტული „რესურსის“ ფლობის საფუძველზე. ფილოსოფოსი ამ რესურსს უწოდებდა - ἀρετή (Mirhady, 1995, გვ. 405–409), რაც ძველი ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც ზნეობა, სათნოება, ღირსება. ხოლო ადამიანთა სათნოების გარეგნული გამოხატულების ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელად მიიჩნევდა ძალაუფლებას (ძვ. ბერძ. ἐξουσία). მაშასადამე, არისტოტელე თვლიდა, რომ ყველა ღირსეული ადამიანი შეგნებულად მიისწრაფის შეიძინოს ძალაუფლება.

ანტიკურ ცივილიზაციაში შექმნილ და ძლიერ სოციალურ თეორიად ჩამოყალიბებულ „ბატონი და მონას“ იდეას პოლიტიკურ ჭრილში დაუბრუნდა ნიკოლო მაკიაველი, რომელმაც ახლებურად გააზრა ცნება „ძალაუფლება“ და დაუკავშირა იგი უშუალოდ საერო ხელისუფლებას (მმართველ ელიტას/არისტოკრატიას) (Von Vacano, 2006), ხოლო უკვე მეცნიერულ სფეროში ძალაუფლება (ინგ. power), როგორც პოლიტიკური ფუნდამენტური ცნება, დაამკვიდრა ინგლისელმა ფილოსოფოსმა თომას ჰობსმა. ფილოსოფოსმა აღნიშნული ცნება განმარტა შემდეგნაირად: „ადამიანის ძალაუფლება (power) (აღებული ზოგადი ფორმით) არის მისი შესაძლებლობა მომავალში მიაღწიოს გარკვეულ ხილულ სიკეთეს და იგი არის ბუნებრივი ან ინსტრუმენტული“ (Hobbes, 1651, გვ. 53).

ჰობსის განმარტებით, ძალაუფლება არის სოციალური ფენომენი, რომელიც გამოიხატება ერთი ინდივიდის მეორეზე ზემოქმედების/ზეგავლენის შესაძლებლობით (იქნება ეს ფიზიკური, ბუნებრივი

თუ სხვა, სოციალურად შეძენილი, ინსტრუმენტული). თომას ჰობსმა შექმნა ძალაუფლების მეცნიერული შესწავლის საფუძველი და რადგან მისი ფილოსოფიის უმთავრესი ანთროპოლოგიური დოგმა არის, რომ ყველა ადამიანს ბუნებრივად ამოძრავებს თვითგადარჩენის ინსტინქტი, შესაბამისად, ერთი ადამიანის მეორეზე ძალაუფლების გამოვლენის ყველაზე მაღალი ფორმაა ძალადობა.

თომას ჰობსის ფილოსოფიაზე დაყრდნობით მაქს ვებერმა „ძალაუფლება“ გახადა ვიწრო პოლიტოლოგიური დეფინიცია და შემატა მას ინსტრუმენტული ხასიათი, რის შედეგადაც მოახდინა „ძალის“ (გერ. Gewalt) ახლებურად ინტერპრეტირება. ვებერის მიხედვით „ძალა“ უშუალოდ გამოხატავს ერთი სუბიექტის მიერ მეორეზე ინსტიტუციურ ზემოქმედებას შეზღუდვების დაწესების გზით (იქნება ეს ფიზიკური თუ ფორმალური, კანონებით განსაზღვრული). ვებერიდან მოყოლებული კლასიკური პოლიტიკური მეცნიერება ძალას/ძალაუფლებას განმარტავს შემდეგნაირად: „სოციალურ მეცნიერებებსა და პოლიტიკაში ძალაუფლება არის სოციალური ეფექტი, რომელიც განსაზღვრავს აქტორების შესაძლებლობებს, ქმედებებს, რწმენას ან ქცევას. ძალაუფლება არ ეხება ექსკლუზიურად მუქარას ან ძალის გამოყენებას ერთი აქტორის მიერ მეორის წინააღმდეგ, არამედ შეიძლება განხორციელდეს დიფუზური საშუალებებით (როგორიცაა ინსტიტუტები)“ (Barnett, 2005, გვ. 45).

კლასიკურ პოლიტიკურ მეცნიერებაში ძალა არის სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ნიშანი, მეტიც, მან შეიძინა სახელმწიფოს შექმნისა და ფუნქციონირებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა. შესაბამისად, თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში „ძალის“ ცნების გააზრების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ერი-სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ბუნების გაგება.

ზემოაღნიშნული არგუმენტის დამადასტურებელი კარგი მაგალითია ძალისა და სამართლიანობის თანაფარდობის შესახებ ინგლისელი ფილოსოფოსის და მათემატიკოსის, ბლეზ პასკალის აზრი: „მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა – უძლურია. ძალა, რომლის უკან არ დგას სამართლიანობა – ტირანიაა. უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ რომ ამ ქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი. უსამართლო ძალა კი ყოველთვის აღაშფოთებს კეთილთ. მაშასადამე, საჭიროა სამართლიანობის და ძალის შერწყმა. ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი, ანდა ძალა – სამართლიანი. სამართლიანობა ხშირად სადავოა და საკამათო, ძალა კი უდავო და უცილობელი. ამიტომაც სამართლიანობა ვერ იქნა და ვერ გახდა ძლიერი. ძალა არ სცნობდა მას და ამბობდა, რომ სამართლიანობა უსამართლოა და რომ მხოლოდ თვითონაა სამართლიანი. და რაკი სამართლიანობა ვერაფრით ვერ იქცა ძალად, ხალხმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ძალაა სამართლიანი“. (Pascal, 1994, გვ. 335).

პასკალის ამ ციტატაში სამართლიანობა არ უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც ადამიანის სულიერი (რელიგიური) გამოხატულება. სამართლიანობა, ამ შემთხვევაში, უფრო დაფუძნებულია სახელმწიფო სამართლის სისტემაზე და, რეალურად, გულისხმობს, რომ სახელმწიფოში სამართალი

ძალის გარეშე ვერ იარსებებს. სამართლის აღსრულების ინსტრუმენტია მხოლოდ ძალა. ხოლო სამართლის (წესების) გარეშე, როგორც ვიცით, ვერ იარსებებს სისტემა, მითუმეტეს ისეთი ფენომენი, როგორიცაა სახელმწიფო.

ძალის (ძალაუფლების, ძალადობის, იძულების) პრობლემატიკა პოლიტიკურ მეცნიერებებში წარმოადგენს დარგის ქვაკუთხედს – იმ ამომავალ აქსიომას, რომელზე დაყრდნობითაც ხდება პოლიტიკური პროცესების აღწერა. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტერმინის იგნორირებისას, ან არასწორი ინტერპრეტაციისას ვღებულობთ რეალობას, როდესაც წამყვანი თეორიები ვერ აკმაყოფილებს ისტორიული მოვლენების ინტერპრეტირების სიზუსტეს და მათ საფუძველზე გაკეთებული პროგნოზები ვერ უძლებს ემპირიულ კრიტიკას.

1.1. საერთაშორისო ურთიერთობების სკოლების მიერ „ძალის“ ინტერპრეტაცია.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სკოლების მიერ „ძალის“ კონცეფციის განმარტებებმა და ინტერპრეტაციებმა იგი მრავალვექტორიანი კატეგორია გახადა. ცნების ყველაზე პოპულარულ განმარტებას გვაძლევს რეალპოლიტიკის სკოლა, რომლის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ამერიკელმა ისტორიკოსმა ჰანს მორგენთაუმ იგი განსაზღვრა როგორც გლობალური პროცესების რეგულირების ბერკეტი – ძალაუფლება ადამიანთა გონებასა და ქმედებებზე (Morgenthau, 1967, გვ. 97). კიდევ ერთმა ცნობილმა ამერიკელმა თეორეტიკოსმა და პოლიტიკოსმა ჰენრი კისინჯერმა ძალა განმარტა როგორც ზეგავლენის მოხდენის საშუალება (Kissinger, 1977, გვ. 57). აღნიშნულ პოზიციას იზიარებს თითქმის ყველა გამოჩენილი რეალპოლიტიკის წარმომადგენელი (მაგ. რიჩარდ კლაინი, ჯონ სტოსინჯერი, დენის პუჩალა და ფელიქს შუმანი). აღნიშნულ განმარტებებში იგრძნობა თომას ჰობსის დიდი გავლენა, რომელმაც, ზოგადი ფორმით ძალა განსაზღვრა როგორც ზეგავლენის ბერკეტი.

თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციების ფონზე, ლეგიტიმურია საუბარი საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემაში „ხისტი ძალის“ (ინგლ. hard power), „რბილი ძალის“ (ინგლ. soft power) და „ჭკვიანი ძალის“ (ინგლ. smart power) ცნებების არსებობაზე, რომლებიც, თავის მხრივ, ადამიანის სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებიდან ახდენენ ინდივიდებზე „ზეგავლენას“.

„ხისტი ძალის“ კონცეფციის ფარგლებში ობიექტზე ზემოქმედება, სასურველი შედეგის მიღების მიზნით, ასოცირდება უშუალოდ ძალადობასთან, იძულებასთან, დიქტატთან, ნების თავსმოხვევასთან. აღნიშნულ პარადიგმაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ცნება ძალადობას და მისი გამოვლენის ყველაზე მასშტაბურ ფორმას – ომს. აღნიშნულის ფარგლებში, აგრეთვე, გამოიყოფა ომის მუქარა, პოლიტიკური ზეწოლა, მოწინააღმდეგის ეკონომიკური/პოლიტიკური იზოლაცია, ეკონომიკური სანქციები და სხვა. ყველა ასეთი ქმედება აღიწერება როგორც უკიდურესი ზომა, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული ძალადობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების სიმკაცრისა და მიყენებადი ზიანის გამო.

რაც შეეხევა „რბილ ძალას“, ჯოზეფ ნაის მიხედვით, იგი არის: „სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობაში სასურველი შედეგების მიღწევის უნარი – საკუთარი კულტურის, ღირებულებებისა და საგა-

რეო პოლიტიკის მიმზიდველობით და არა იძულებით ან ფინანსური რესურსებით“(Nye, 2004).

ხოლო რაც შეეხება „ჭკვიან ძალას“, იგი არის ზემოაღნიშნული ორი ცნების გაერთიანება. ჯოზეფ ნაი ჭკვიან ძალაზე წერს: იგი არის „შესაძლებლობა შეათავსო ორი ასპექტი - ძალადობრივი ან ეკონომიკური იძულება და რბილი ძალა მომგებიანი სტრატეგიის ფორმირებისთვის“ (Nye, 2006).

ზემოაღნიშნული განმარტებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში „ძალა“ არის, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს უნარი, მოახდინოს ზეგავლენა სხვა სახელმწიფოზე მისთვის სასურველი შედეგის მიღების მიზნით (აგრეთვე დავამატებდით, სხვადასხვა სახის დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის). შესაბამისად, რელევანტურია საუბარი ძალის სხვადასხვა ტიპის არსებობაზე, რომლებსაც სახელმწიფოები შერჩევით იყენებენ თავიანთ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში, ხოლო თანამედროვე მოვლენების ფონზე, გვაფიქრებინებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სკოლები პირდაპირი ძალის გამოყენებას მიიჩნევენ ძალის გამოყენების აქტის ყველაზე დიდ მაჩვენებლად, რომელიც დღემდე ერთ-ერთი ეფექტიანი ინსტრუმენტია, ვინაიდან ზოგიერთი ქვეყნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ცდუნება ჯერ კიდევ ძლიერია. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ თავად საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა ხასიათდება მაღალი კონფლიქტოგენური პოტენციალით, ვინაიდან იგი ანარქიულია. თანამედროვე სამყაროში „ხისტი ძალის“ კონცეფციაზე საუბარი ჯერ კიდევ აქტუალური რჩება, რადგან ზოგიერთი ქვეყნის გეოპოლიტიკური უკმაყოფილება, სურვილი შეინარჩუნოს ან გააფართოოს გავლენის სფერო, აგრეთვე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გავლენის ქონის ინტერესი, უჩენს პოლიტიკურ სუბიექტს ცდუნებას, რომ გამოიყენოს ძალა და ყველაზე, ასე ვთქვათ, მარტივი და პირდაპირი გზით დააკმაყოფილოს სახელმწიფო ინტერესები.

რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი პიოტორ ბაკლანოვი წერს: „ომი არის გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის ერთ-ერთი გზა. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ სამხედრო აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების უწყვეტმა განვითარებამ არ გახადა სამყარო უფრო უსაფრთხო და არ დაიცვა კაცობრიობა ომებისგან, მეტიც, სამხედრო კონფლიქტები თავისი ხანგრძლივობით, ტერიტორიული დაფარვითა და მოცულობით მრავალჯერ გაიზარდა. ომის წარმოებაში რესურსების ჩართვა არის თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური რეალობა“ (Baklanov, 2003).

2. „ძალის“ კლასიკური კონცეფციის კრიზისი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

ზემოთ ჩამოყალიბებული იდეები წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევების ზოგად, რაღაც მხრივ ზედაპირულ, მაგრამ მის ფუნდამენტურ საფუძველს. უნდა დავძინოთ, რომ ასეთი თვალით დანახული რეალობა არის „მათემატიკურად იდეალური სამყაროს“ აღწერა, სადაც ძალა (ძალაუფლება) არის ინსტრუმენტული რესურსი, ხოლო პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა – ომი, წარმოადგენს ნულოვანი ჯამის თამაშს. აღნიშნული, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ჩვენს წინაშე არსებული რეალობის აღწერის სრულყოფილი თეორია, მეტსაც ვიტყოდით, ეს არის მახე, რომელიც პოლიტიკას წარმოაჩენს როგორც რესურ-

სებით თამაშს. აღნიშნული მიდგომების პოპულარობა და, ასე ვთქვათ, დომინირება თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებებში გასაგებია – მასში თავს იყრის სამეცნიერო კვლევისათვის ყველა საჭირო ინსტრუმენტი: მკაფიოდ ჩამოყალიბებულია კვლევის ობიექტები (საერთაშორისო აქტორები); გაწერილია ურთიერთზემოქმედების ძალები (ომი და ძალის გამოხატვის სხვადასხვა ფორმა); ჩამოყალიბებულია ურთიერთზემოქმედების მიზნები და მიზეზები (ინტერესები); და, რაც მთავარია, აქტორები წარმოჩენილია როგორც სრულიად რაციონალური „არსებები". შესაბამისად, მათი ქმედება ჯდება ლოგიკისა და შემეცნების კანონზომიერებაში. აღნიშნული თეორია შესაძლებელია მარტივად დავიყვანოთ მათემატიკურ ფორმულამდე, სადაც სუბიექტებს შორის ზემოქმედებას განსაზღვრავს მათი ინტერესები, ხოლო ზემოქმედების ხარისხს – მათ ხელთ არსებული რესურსი. აქედან გამომდინარე, საჭიროა მხოლოდ „სუბიექტის ინტერესი და მის ხელთ არსებული რესურსის (რის გაკეთებასაც ცდილობს ყველა ანალიტიკური ცენტრი) „გამოთვლა": შემდგომ, ნულოვანი ჯამის თამაშის წესით, სუბიექტებს შორის კონფლიქტი აღიწერება და დაიდება შესაბამისი დასკვნები.

აღნიშნულ მიდგომას, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება და პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტირების პოტენციალი. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე გამოჩენილი მკვლევრები ნაწილობრივ მაინც იყენებენ ასეთ მეთოდოლოგიას და რაციონალიზმის (რეალპოლიტიკის) სახელით პოლიტიკურ პროცესებს აღწერენ ზუსტ მეცნიერებებში დამკვიდრებული მოდელებით.

არსებული კლასიკური თეორიების გაღრმავებისა და „ძალის" ცნების გადააზრების საჭიროება კარგად წარმოაჩინა ისტორიკოსმა იუვალ ნოახ ჰარარმა. მეცნიერის აზრით, 1914 წელსა და დღევანდელ დღეს შორის დიდი განსხვავებაა ძალის ბუნების მხრივ – პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ომის იდეა მთელ მსოფლიოში მმართველი ელიტების წარმომადგენელთა შორის დადებითად აღიქმებოდა, რადგან ისინი ისტორიული მაგალითების მეშვეობით საკუთარ პოლიტიკურ ლეგიტიმაციას ამყარებდნენ და უწყვეტი სახელმწიფოებრიობის ისტორიის გამგრძელებლებად თავს წარმოაჩენდნენ. აქედან გამომდინარე, წარმატებული ომი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებას უწყობდა ხელს. მკვლევრის აზრით, დღეს წარმატებული ომი გადაშენების პირას მყოფი სახეობაა. მაგალითად, 1914 წელს არსებული ყველა ძლიერი სახელმწიფო თავის სტატუსს წარმატებულ ომებს უმადლოდა: იაპონიამ რეგიონალურ ძალად ჩამოყალიბება ჩინეთსა და რუსეთზე გამარჯვების შედეგად მოახერხა, ხოლო დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში უდიდეს იმპერიად გადაიქცა „პატარა კოლონიური ომების" მეშვეობით (1882 წელს დიდი ბრიტანეთი ეგვიპტეში შეიჭრა და ქვეყანა ისე დაიპყრო, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში, თელ ელ-კებირის ბრძოლა, მხოლოდ 57 ჯარისკაცი დაკარგა). აგრეთვე აშშ-ის საერთაშორისო აქტორად ჩამოყალიბების ისტორია უკავშირდება ომებს – 1846 წელს ვაშინგტონი მექსიკაში შეიჭრა და კალიფორნია, ნევადა, იუტა, არიზონა, ნიუ-მექსიკო და კოლორადოს, კანზასის, ვაიომინგის და ოკლაჰომას ნაწილები დაიპყრო. ამ ომს 13 000 ამერიკელი ჯარისკაცი შეეწირა, მაგრამ სანაცვლოდ 2,3 მილიონი

კვადრატული კილომეტრის ტერიტორია მიიღო (Harari, 2022, გვ. 240).

დღეს მთელი მმართველი ელიტების წარმომადგენლებს აქვთ მყარი საფუძველი იფიქრონ, რომ ძველი ტიპის (კონვენციური) ომი უკვე წარსულს ჩაბარდა, რადგან იგი არამომგებიანი გახდა: მაგ. ჩინეთი 1979 წ. ვიეტნამში წარუმატებელი შეჭრის შედეგად ახალ ომებში ჩაბმას თავს არიდებს; ირანმა ერაყთან წარუმატებელი ომის შემდგომ პირდაპირი ესკალაციებისაგან თავის შეკავება ისწავლა; 1991 წ. აშშ-ის ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ სადამ ჰუსეინის ექსპანსიონისტური პოლიტიკის შეკავებას რომ ითვალისწინებდა, სადაც აშშ-მა სწრაფი და დამაჯერებელი გამარჯება მოიპოვა, შემდგომში ამერიკისთვის ერთგვარ ცდუნებად იქცა, რასაც 2003 წელს მოჰყვა ახალი კამპანია ერაყში, რაც თეთრ სახლს ძვირად დაუჯდა; დასასრულ, რუსეთის წარუმატებელი შეჭრა უკრაინაში, რომლის ზარალი მთელი მსოფლიოსთვის და, უპირველეს ყოვლისა რუსეთისთვის, კიდევ იქნება გასაანალიზებელი. ჰარარი სვამს კითხვას: რატომ უჭირთ დიდ და გავლენიან სახელწმიფოებს XXI საუკუნეში წარმატებული ომების წარმოება? ამის ერთ-ერთ მიზეზად იგი ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებს ასახელებს. ძველად ეკონომიკური აქტივები, ძირითადად, მატერიალური ხასიათის იყო, ამიტომ თუ სხვის დაპყრობას მოახერხებდა ქვეყანა, იგი ადვილად ჩაიგდებდა მის ქონებას – ადრე ბრძოლაში გამარჯვებული მხარე დამარცხებული მხარის ქალაქებს ძარცვავდა, მათ მცხოვრებლებს მონებად ყიდდა და ნაყოფიერ ხორბლის ყანებს თუ ოქროთი მდიდარ მაღაროებს ისაკუთრებდა. თუმცა XXI საუკუნეში ამ გზით რაიმე მნიშვნელოვანი მოგების მიღება უკვე შეუძლებელია. დღეს მთავარ ეკონომიკურ აქტივებს ხორბლის ყანები, ოქროს მაღაროები ან თუნდაც ნავთობის საბადოები კი არა, ტექნიკური და ინსტიტუციური ცოდნა შეადგენს, ცოდნას კი ომით ვერ დაიპყრობ (Harari, 2022, გვ. 240). თეორიულად, წარმატებულმა ომმა შესაძლოა გამარჯვებული მხარე ახეიროს, თუ ის მსოფლიო ვაჭრობის სიტემის თავის სასარგებლოდ გარდაქმნას მოახერხებს, როგორც ეს დიდმა ბრიტანეთმა შეძლო ნაპოლეონის დამარცხების და აშშ-მა ჰიტლერის დამარცხების შემდგომ. თუმცა, ბირთვული იარაღის შექმნის შედეგად ამგვარი სცენარის გამეორება შეუძლებელი ჩანს, ატომურმა ბომბმა ახალი მსოფლიო ომის წამოწყება და მასში გამარჯვება (თანაც დიდი სარგებლის მიღებით) შეუძლებელი გახადა. კიბერომის წარმოება იმპერიალისტურ საქმეს კიდევ უფრო ართულებს. მოკლედ რომ ვთქვათ, კიბერომი და ბირთვული იარაღი დიდი ზარალის მომტანი და მცირედ მომგებიანია. XXI საუკუნეში ომი არამომგებიან საქმედ რომც დარჩეს, სამწუხაროდ ეს მშვიდობის დამკვიდრების გარანტია მაინც ვერ იქნება. როგორც ჰარარი აღნიშნავს, ადამიანის სიბრიყვე და არარაციონალურობა მაინც უნდა ვაღიაროთ და მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ ადამიანები, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურადაც მიდრეკილნი არიან თვითგანადგურებისკენ (Harari, 2022, გვ. 242) (ფროიდის სიტყვებით „თანატოსისკენ“).

ზემოაღნიშნულის შეჯამებით, შეიძლება ითქვას, რომ „ძალის“ ცნების გადახედვა საჭიროა უკვე იმიტომ, რომ თვითონ ძალის ფენომენმა განიცადა ტრანსფორმაცია დროში. დღეს ძალა გაცილებით უფრო მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა, ვიდრე იყო

წარსულში – იგი გაცილებით მეტ სფეროსა და პროცესებს მოიცავს.

2.1. უსაფრთხოების დილემა ბირთვულ ეპოქაში – პოლიტიკური აგენტის რაციონალურობის პრობლემა.

წინამდებარე კვლევაში მიზნად დავისახეთ წარმოგვეჩინა „ძალის“ ცნების პრობლემური ხასიათი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში, რის საფუძველზეც შევქმნიდით ბაზისს, რომ აღნიშნული კონცეფცია გადაიხედოს (როგორც ეს, მაგალითად, მოახერხა ჰარარმა). ჩვენი მიზანია სოციალური მეცნიერებების „მოდაში“ არსებული ნარატიული მიდგომის კრიტიკა და კლასიკური საერთაშორისო ურთიერთობების სკოლების თეორიების სუსტი მხარეების წარმოჩენა.

თანამედროვე მეცნიერებაში „ძალის“ ცნების პრობლემურობასა და კლასიკური სკოლების ამ საკითხთან მიდგომის სისუსტეს კარგად წარმოაჩენს უსაფრთხოების დილემის თეორია, ვინაიდან **იგი ეჭვქვეშ აყენებს ისეთ მნიშვნელოვან იდეას, როგორიცაა სახელმწიფოს რაციონალური ბუნება.**

ჰერბერტ ბატერფილდმა, ჯონ ჰერცმა და რობერტ ჯერვისმა შეიმუშავეს უსაფრთხოების დილემის სისტემური თეორია, რის შედეგადაც იგი გამოიყენება უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხის გადასაჭრელად. სწორად ახსნილი უსაფრთხოების დილემის თეორია ომისა და მშვიდობის ურთიერთქმედების მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც, დიდწილად, წინააღმდეგობაშია მანამდე არსებულ თეორიებსა და მიდგომებთან.

ჰერბერტ ბატერფილდი ამტკიცებდა, რომ უსაფრთხოების დილემას შეუძლია სახელმწიფოები ომამდე მიიყვანოს, მიუხედავად იმისა, რომ მათ, შესაძლოა, არ უნდოდეთ ერთმანეთისათვის ზიანის მიყენება. მკვლევარი წერს: „ისტორიაში უდიდესი ომი შეიძლება წარმოიქმნას ნებისმიერი დიდი დამნაშავის ჩარევის გარეშეც, რომელთაც შესაძლოა განზრახ სურთ ზიანი მიაყენონ მსოფლიოს. ის შეიძლება წარმოიქმნას ორ ძალას შორის, რომელთაგან ორივე სასოწარკვეთილია, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი სახის კონფლიქტი“ (Butterfield, 1951).

ბატერფილდი ასახელებს უსაფრთხოების დილემის ექვს ძირითად ასპექტს:

1. უსაფრთხოების დილემის ძირითადი წყაროა შიში, რომელიც გამომდინარეობს „კაცობრიობის საყოველთაო ცოდვილებიდან“;
2. ის სხვების ზრახვების გაურკვევლობიდან გამომდინარეობს;
3. ის უნებლიედ წარმოიშობა;
4. იგი ტრაგიკული შედეგების მომტანია;
5. ის შეიძლება გამწვავებული იყოს ფსიქოლოგიური ფაქტორებით;
6. ის არის ფუნდამენტური მიზეზი ყველა ადამიანური კონფლიქტისა.

ჯონ ჰერცმა, რომელმაც მოიფიქრა ტერმინი „უსაფრთხოების დილემა“, შემდეგნაირად განმარტა იგი: „ჯგუფები და პიროვნებები, რომლებიც ცხოვრობენ ერთმანეთის გვერდით ორგანიზების გარეშე [...] უნდა იყვნენ [...] შეშფოთებული მათი უსაფრთხოებით სხვა ჯგუფების და ინდივიდების მიერ თავდასხმის, დაქვემდებარების, დომინირების ან განადგურების საფრთხის გამო. უსაფრთ-

ხოების მიღწევის მცდელობისას ისინი იძულებულნი არიან შეიძინონ უფრო მეტი ძალა, რათა თავი დაიცვან სხვისი ძალისაგან მომდინარე საშიშროებისაგან. ეს, თავის მხრივ, სხვებს კიდევ უფრო დაუცველს ხდის და აიძულებს მათ მოემზადონ უარესისთვის. იმის გამო, რომ ასეთ გარემოში (ჰობსის „ბუნებით მდგომარეობაში“) ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გრძნობს თავს სრულიად დაცულად, თავს იჩენს ძალის კონკურენცია, სადაც უსაფრთხოებისა და ძალაუფლების დაგროვების მანკიერი წრე იკვრება“ (Herz, 1951, გვ. 157). აგრეთვე ჰერცი წერს: „ადამიანი „ბუნებით” მშვიდობიანი და თანამშრომლობაზე ორიენტირებულია თუ აგრესიული და დომინანტი, არ არის მთავარი საკითხი. [...] არამედ, სწორედ ადამიანის გაურკვევლობა და შფოთვა მეზობლების განზრახვებთან დაკავშირებით აყენებს მას ამ ძირითად [უსაფრთხოების] დილემაში და აქცევს თეზისს **„homo homini lupus est“** [ლათ. ადამიანი ადამიანისთვის მგელია] სოციალური ცხოვრების უპირველეს ფაქტორად. დიდწილად ეს არის უბრალო თვითგადარჩენის ინსტინქტი, რომელიც (უსაფრთხოების დილემის) მოჯადოებულ წრეში მარადიული კონკურენციისაკენ უბიძგებს კაცობრიობას. უსაფრთხოების დილემის ერთ-ერთი ტრაგიკული შედეგია ის, რომ ორმხრივმა შიშმა, იმის მიმართ, რაც, თავდაპირველად, შესაძლოა, არც არსებულა, შემდგომში შეიძლება გამოიწვიოს ზუსტად ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინიათ” (Herz, 1961, გვ. 241). მიუხედავად იმისა, რომ ჰერცს თავდაპირველად ასევე სჯეროდა, რომ უსაფრთხოების დილემა იყო უნივერსალური, მოგვიანებით ცალსახად უარყო ბატერფილდის მტკიცება, რომ უსაფრთხოების დილემა არის ყველა ადამიანური კონფლიქტის მიზეზი და აღნიშნა, რომ ჰიტლერის გერმანიასა და სხვა სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოების დილემა არ მოქმედებდა (Herz, 1951, გვ. 234).

ჰერცმა ასევე ჩამოაყალიბა უსაფრთხოების დილემის ექვსი ძირითადი ასპექტი:

1. უსაფრთხოების დილემის საბოლოო წყარო არის ანარქია – „უმაღლესი ერთიანობის“ ნაკლებობა;
2. უსაფრთხოების დილემის მიზეზი არის სახელმწიფოების გაურკვევლობა და ერთმანეთის ზრახვების შიში, რომ ზიანი მიაყენონ ანარქიის პირობებში;
3. უსაფრთხოების დილემისაგან თავის დაღწევის მცდელობა, უფრო და უფრო მეტი ძალაუფლების დაგროვებით, წარმოშობს ძალაუფლების კონკურენციის უსასრულო ციკლს;
4. სახელმწიფოების მცდელობამ გაექცნენ უსაფრთხოების დილემას მეტი ძალაუფლების შეძენით, შესაძლოა, საერთოდ არ გაზარდოს მათი უსაფრთხოება და გახდეს დამარცხების ტრაგიკული შედეგი;
5. უსაფრთხოების დილემამ შეიძლება გამოიწვიოს ომი, მაგრამ იგი არ არის ყველა ომის მიზეზი;
6. უსაფრთხოების დილემის დინამიკა არის თვითგამამტკიცებელი „მანკიერი ციკლი“.

ჰერცის თავდაპირველ პოზიციაში არ იკვეთებოდა იდეა არის თუ არა უსაფრთხოების დილემა უნებლიე (ბუნებრივი) წარმოშობის. მიუხედავად ამისა, ჰერცის ხედვა გულისხმობს არგუმენტს, რომ უსაფრთხოების დილემის წარმოშობა მართლაც უნებლიეა. მეცნიერი ამტკიცებდა, რომ უსაფრთხოების დილემა წარმოიქმნება სახელმწიფოების

მიერ საკუთარი უსაფრთხოებისათვის უფრო და უფრო მეტი ძალაუფლების აკუმულირებით – ანარქიის პირობებში სხვა სახელმწიფოების ზრახვების შიშისა და გაურკვევლობის გამო. უფრო მეტიც, ჰერცი გულისხმობდა, რომ ბოროტი ზრახვები უსაფრთხოების დილემას აბათილებს; იგი ცალსახად ამტკიცებდა, რომ ნაცისტურ გერმანიასა და სხვა სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოების დილემა არ არსებობდა. მისი ხაზგასმა ანარქიის პირობებში უსაფრთხოების ძიების პარადოქსულ და თვითდამმარცხებელ ბუნებაზე, ასევე მიუთითებს იმაზე, რომ უსაფრთხოების დილემა მისთვის უნებლიე (ბუნებრივი) იყო.

რობერტ ჯერვისმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ უსაფრთხოების დილემა შემოეტანა მეინსტრიმულ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში, მაგრამ იგი ცნებას მოკლედ და არათანამიმდევრულად განიხილავს. სხვადასხვა ადგილას იგი უსაფრთხოების დილემას ასე ხსნის „მოქმედებების ეს არასასურველი შედეგები თავდაცვითი ხასიათის უნდა იყოს“; „საშუალებები, რომლითაც სახელმწიფო ცდილობს გაზარდოს თავისი უსაფრთხოება, ამცირებს სხვების უსაფრთხოებას“; „ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება ხშირად უნებლიეთ ემუქრება სხვებს“ (Jervis, 1988; 1999; 1982). აგრეთვე ჯერვისმა ხაზი გაუსვა უსაფრთხოების დილემის სხვა ასპექტებს, მეცნიერი წერს: „უსაფრთხოების დილემის არგუმენტი ისაა, რომ ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოების გაზრდამ შეიძლება სხვები გახადოს ნაკლებად უსაფრთხო, არა არასწორი აღქმის ან წარმოსახვითი მტრობის გამო, არამედ ანარქიული კონტექსტის გამო საერთაშორისო ურთიერთობებში. მაშინაც კი, თუ მათ შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ სხვა სახელმწიფოების ამჟამინდელი ზრახვები კეთილსაიმედოა, მათ არ შეუძლიათ უგულებელყონ იმის შესაძლებლობა, რომ სხვები მომავალში აგრესიულები არ გახდებიან და არც გარანტიას იძლევიან, რომ ისინი თავად დარჩებიან მშვიდობიანი“ (Jervis, 1999, გვ. 76). აქედან გამომდინარე, ჯერვისი წამოჭრის დილემის განსაზღვრისათვის ერთ-ერთ მთავარ კითხვას: „ჭეშმარიტი უსაფრთხოების დილემის განსაზღვრისას ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, იყო თუ არა ეს ქმედებები წმინდა თავდაცვითი ხასიათის“ (Jervis, 2001, გვ. 57). და ბოლოს, ჰერცის მსგავსად, ჯერვისიც კატეგორიულად უარყოფს, რომ უსაფრთხოების დილემა ყველა კონფლიქტის მიზეზია (Jervis, 1999, გვ. 49).

ჯერვისის დეფინიციებმა და ნაშრომებმა ხაზი გაუსვა უსაფრთხოების დილემის შვიდ მთავარ ასპექტს:

1. უსაფრთხოების დილემა სტრუქტურული წარმოშობისაა;
2. სახელმწიფოთა გაურკვევლობა და შიში ერთმანეთის ამჟამინდელი და სამომავალო ზრახვების შესახებ გადამწყვეტია უსაფრთხოების დილემის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისთვის;
3. დილემა გამოწვეულია თავდაცვითი მოქმედებებით, ამდენად, უნებლიე ხასიათისაა;
4. ის მიდრეკილია გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი და თვითდამმარცხებელი შედეგები – რაც წარმოადგენს საკუთარი უსაფრთხოების დაქვეითებას;
5. დილემა მიდრეკილია გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი და ტრაგიკული შედეგები –

მაგალითად, ომი;

6. უსაფრთხოების დილემამ შეიძლება გამოიწვიოს ომი, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ყველა ომის მთავრ მიზეზს;
7. უსაფრთხოების დილემის დინამიკა თვითგანმტკიცებულია და სპირალს წააგავს (Jervis, 1982, p. 361).

ამ შვიდი ასპექტის ჩამოყალიბების გარდა ჯერვისმა უსაფრთხოების დილემის თეორიაში შეიტანა კიდევ ერთი ფუნდამენტური წვლილი: მისი აზრით, უსაფრთხოების დილემის პრობლემატიკა შეიძლება დარეგულირდეს როგორც ფიზიკური/მატერიალური ფაქტორებით (მაგალითად, ტექნოლოგია და გეოგრაფია), ისე ფსიქოლოგიური/აღქმის ფაქტორებით (მაგალითად, არასწორი აღქმა).

ზემოაღნიშნული სამი მეცნიერის მოსაზრებებზე დაყრდნობით, შესაძლოა უსაფრთხოების დილემის 8 ძირითადი ასპექტის გამოყოფა:

1. უსაფრთხოების დილემის საბოლოო წყარო არის საერთაშორისო პოლიტიკის ანარქიული ბუნება;
2. ანარქიის პირობებში სახელმწიფოები ვერ იქნებიან გარკვეული ერთმანეთის აწმყოსა და მომავალ ზრახვებში. შედეგად, სახელმწიფოებს აქვთ ერთმანეთის შიში;
3. უსაფრთხოების დილემა უნებლიე წარმოშობისაა: ნამდვილი უსაფრთხოების დილემა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ორ თავდაცვით რეალისტურ სახელმწიფოს შორის;
4. ერთმანეთის ზრახვების გაურკვევლობისა და შიშის გამო, სახელმწიფოები ორიენტირებულნი არიან საკუთარი ძალის მოხვეჭაზე (უპირატესად სამხედრო/ხისტი ძალის), რომელიც, მათი აზრით, თავდაცვის საშუალებაა;
5. უსაფრთხოების დილემის დინამიკა თვითგამამტკიცებელია და, ხშირად, წარმოშობს დაუგეგმავ და ცუდ სპირალებს, როგორებიცაა ურთიერთობების გაუარესება და შეიარაღებული კონფლიქტი;
6. უსაფრთხოების დილემის დინამიკა მიდრეკილია, უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, გარკვეული ზომებისკენ: მაგალითად, არასაჭირო შეტევითი შესაძლებლობების დაგროვება; თვითდამარცხება: მეტი ძალა, მაგრამ ნაკლები უსაფრთხოება;
7. უსაფრთხოების დილემით გამოწვეულმა მანკიერმა ციკლმა შეიძლება მოგვცეს ტრაგიკული შედეგები, როგორიცაა არასაჭირო ან თავსმოხვეული ომები.
8. უსაფრთხოების დილემის პრობლემატიკა შეიძლება დარეგულირდეს როგორც მატერიალური, ისე ფსიქოლოგიური ფაქტორებით.

რვა ასპექტს შორის სამი ძირითადია: **ანარქია** (რაც იწვევს გაურკვევლობას, შიშს და თვითდახმარების აუცილებლობას გადარჩენისთვის ან უსაფრთხოებისთვის); **ორივე მხრიდან ბოროტი განზრახვების ნაკლებობა; ძალაუფლების აკუმულირება** (შეტევითი შესაძლებლობების ჩათვლით). სხვა ასპექტები უსაფრთხოების დილემის შედეგებია ან მარეგულირებლები და ისინი არც საკმარისია და არც აუცილებელი უსაფრთხოების დილემის წარმოქმნისა და გაფართოებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს სამი არსებითი ასპექტი არის ის, რაც სიტუაციას აქცევს უსაფრთხოების ნამდვილ დილემად.

„უსაფრთხოების დილემასთან“ დაკავშირებით არსებული წყაროების კვლევის შედეგად, ჩვენი აზრით, იგი უფრო სიღრმისეულად შეიძლება ასე განვმარტოთ: ანარქიის პირობებში მოქმედი ორი სახელმწიფო, რომლებიც უსაფრთხოების თავდაცვით რეალისტურ სტრატეგიას ეყრდნობიან (ისინი არ აპირებენ საფრთხე შეუქმნან ერთმანეთის უსაფრთხოებას) (Taliaferro, 2010), ვერცერთი მათგანი ვერ იქნება დარწმუნებული ერთმანეთის ამჟამინდელ ან სამომავალო ზრახვებში. შედეგად, თითოეული შიშობს, რომ მეორე სახელმწიფო შეიძლება იყოს ან შეიძლება გახდეს აგრესორი. რადგან ორივეს სჯერა, რომ მეტი ძალა განაპირობებს მეტ უსაფრთხოებას ორივე ცდილობს უფრო და უფრო მეტი ძალაუფლების მოპოვებას. უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ თავდაცვითი შესაძლებლობები აუცილებლად შეიცავს თავდასხმის შესაძლებლობებსაც, ერთ-ერთი მხარის უსაფრთხოებისათვის ძალის ზრდამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მეორე მხარის უსაფრთხოებას ან შეიძლება ჩაითვალოს საშიშროებად მაშინაც კი, თუ ორივე მხარეს მხოლოდ საკუთარი თავის დაცვა სურს. შედეგად, მეორე მხარე გონივრულად ფიქრობს, რომ აუცილებლად მიიღებს კონტრზომებს, ამ თავდაცვითი აქტის დასაბალანსებლად. ამ ზომებისა და კონტრზომების ურთიერთქმედება აძლიერებს მათ შიშებს და გაურკვევლობას ერთმანეთის ზრახვების თაობაზე, რაც იწვევს „მანკიერ ციკლს“, რომელშიც თითოეული მიილტვის უფრო მეტი ძალის მოსაპოვებლად, თანაც ისე, რომ ისინი არ ხდებიან უფრო უსაფრთხონი (რაც, რეალურად, სურთ), არამედ პირიქით, ეს იწვევს მათი უსაფრთხოების მოწყვლადობას. ამ მანკიერ წრეს ასევე შეუძლია გამოიწვიოს არასაჭირო ტრაგიკული კონფლიქტები – ომი ან ომის საფრთხე.

უფრო სიღრმისეულ განმარტებაზე დაყრდნობით აშკარა ხდება, რომ სრული მიზეზობრივი კავშირი ანარქიიდან უსაფრთხოების დილემამდე, შემდეგ კი ომამდე, საკმაოდ გრძელი და არავითარ შემთხვევაში არაა პირდაპირი. მისი აღქმა შეიძლება შემდეგნაირად: ***ანარქია წარმოშობს გაურკვევლობას; გაურკვევლობა იწვევს შიშს; შემდეგ, შიში იწვევს ძალაუფლებისთვის კონკურენციას; ძალაუფლებისთვის კონკურენცია ააქტიურებს უსაფრთხოების (ამ მომენტამდე მიძინებულ) დილემას; გააქტიურებული უსაფრთხოების დილემა იწვევს ომის სპირალს.***

ზემოაღნიშნულის შეჯამებით ვასკვნით: საერთაშორისო ურთიერთობების აქტორები არ არიან რაციონალური აგენტები. ისინი, ისევე როგორც ადამიანები, ექვემდებარებიან არასწორი წარმოდგენების ფსიქოლოგიურ გავლენებს, შიშსა და კოგნიტურ შეცდომებს. თომას ჰობსის მიერ დამკვიდრებულ კლასიკურ პოლიტიკურ აქსიომას, რომელიც მოიაზრებს სახელმწიფოს ანთროპომორფიზმის პრიზმაში დანახვას, არ უნდა დაეკარგა ადამიანის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი – მისი ფსიქოლოგიური ბუნება. შესაბამისად, სახელმწიფოს, როგორც სრულიად რაციონალური აგენტის აღქმა იგივე ფუნდამენტური შეცდომაა, როგორც ადამიანის უსასრულო რაციონალური ბუნების ილუზია. აღნიშნული ჩვენი კვლევის ფარგლებში წარმოაჩენს მთავარ პრობლემატიკას: სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსის – ძალის – გამოყენება რაციონალური ბუნების არაა, და არ შეიძლება მისი მხოლოდ „ინტერესების“ ცნების პრიზმაში დანახვა. შესაბამისად, „ძალას“ აქვს უფრო ღრმა და განსხვავებული ხასიათი, ვიდრე უბრალოდ ინსტრუმენტული ბუნება.

2.2. ძალის ონტოლოგიური პრობლემატიკა.

კარლ შმიტმა მის მიერ შემოღებულ ცნება პოლიტიკურში (გერ. des Politischen (Schmitt, 2015)) განსაზღვრა მეგობარი-მტრის დიქოტომია, როგორც, ფაქტობრივად, „ფუნდამენტური პრინციპი, რომელსაც ადამიანის ყველა პოლიტიკური ქმედება და მოტივი უბრუნდება“ (Mikhailovsky, 2008, გვ. 8). თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებს რომ გადავხედოთ, მტრის სახე ხელს უწყობს მასების გაერთიანებას სახელმწიფოებისა თუ სოციალური ჯგუფების წინააღმდეგ, აგრეთვე, თანამედროვე პოლიტიკურ რეალობაში მტრის იმიჯი არის ჯგუფური იდენტობის ფორმირების ერთგვარი ინსტრუმენტი, რომელიც ახდენს საზოგადოების ინტეგრაციას. უმბერტო ეკო წერს: „მტრის ყოლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკუთარი იდენტობის განსაზღვრისათვის, არამედ იმისთვის, რომ არსებობდეს ერთიანი ფასეულობათა სისტემა და შესაძლებლობა, რომ იგი სხვებისთვის დემონსტრირებულ იქნეს” (Eco, 2003, გვ. 2). მაგრამ, აქ კონცეპტუალური პრობლემა არის ის, რომ თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებაში ტერმინი „მტერი“ ხშირად ატარებს პროპაგანდისტულ ელფერს და მოიაზრება, როგორც სრული ბოროტება. შმიტის მიხედვით, პოლიტიკური მტერი (ფილოსოფოსი ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკურ მტერს - hostis - არაფერი აქვს საერთო პირად მტერთან - inimicus) „არ არის აუცილებელი იყოს ბოროტი, მორალურად მახინჯი ან, სულაც, ეკონომიკური კონკურენტი... იგი უბრალოდ განსხვავებულია, უცხოა და ის ფაქტი, რომ გარკვეულწილად ის არის რაღაც ეგზისტენციალურად განსხვავებული და უცხო, ეგეც საკმარისია, რომ იყოს მტერი“ (Schmitt, 2007, გვ. 42). არ არის აუცილებელი „მტერი“ იყოს კონკრეტული ადამიანი ან ჯგუფი (სახელმწიფო, ცივილიზაცია, ორგანიზაციები და ა.შ.), „მტრად“ შეიძლება ჩაითვალოს, სულაც იდეა. „მტრის სახე“ არის „მტრის“ თვისებრივი (შეფასებითი) მახასიათებელი (იმიჯი), რომელიც ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივ ცნობიერებაში და რომელიც ამავე საზოგადოების მიერ ინტერპრეტირდება, როგორც საკუთარი ერთობის (იდენტობის, ფართო გაგებით) მოწინააღმდეგე.

კარლ შმიტი, ჰობსის მსგავსად, ადამიანის სოციალური რეაქციების საფუძვლად მიიჩნევს „უცხოს მიმართ შიშს“ (რომელსაც შმიტი საბოლოოდ „მტერს“ უწოდებს). შესაბამისად, შმიტის მიხედვით, სახელმწიფოს და სრულიად პოლიტიკის ფუნდამენტური დანიშნულებაა: „protego ergo obligo [ლათ. მე ვიცავ თავს, მაშასადამე, ვემორჩილები], რაც არის „cogito ergo sum“ სახელმწიფოსთვის (Schmitt, 2007, გვ. 52). შესაბამისად, თავისი ბუნებიდან და საშიშროებიდან გამომდინარე, უცხო/მტერი არის ერთადერთი ფენომენი, რომლის მიმართაც, სამართლებრივ სახელმწიფოში, **ძალის გამოყენება არის ლეგიტიმური.** ისედაც, ინტუიციურ დონეზეც გასაგებია, რომ „მტერი“ მოიაზრებს იმას, რომ მის მიმართ ძალის გამოყენება ნებადართულია.

პიტერ ბერგერი წიგნში „რეალობის სოციალური კონსტრუირება“ ადამიანს აღწერს, როგორც სამყაროს შემოქმედ და სოციალურ არსებას, რის საფუძველზეც ასკვნის, რომ ადამიანის ბუნებაშია სოციალურად კონსტრუირებული წესრიგისაკენ მისწრაფება. ავტორი ამტკიცებს, რომ „მე“ არის ექსტერნალიზებული თავისი არსით: „ადამიანის ექსტერნალიზაციების მთლიანობა ქმნის საზოგადოებას, რომელიც იქცევა ობიექტურ რეალობად და, თავის მხრივ, გავლენას

ახდენს ინდივიდზე“ (Berger, 1967, გვ. 14-15). ბერგერის მიხედვით, საზოგადოება და ინდივიდი დიალექტიკურ თვითშენარჩუნების ურთიერთობაში არსებობენ, რაც ორივესთვის არის დაცვა ანომიისაგან [ქაოსისგან] (Berger, 1967, გვ. 23). თუმცა, ადამიანის მიერ შექმნილი სოციალური კონსტრუქციები მუდმივი საფრთხის ქვეშაა შემქმნელების „პირადი ინტერესებისა და სისულელის“ გამო (Berger, 1967, გვ. 29). აქედან გამომდინარე, აღნიშნული წესრიგი საჭიროებს მხარდამჭერ ინსტიტუტებს, რომლებიც შექმნიან ინდივიდ-საზოგადოებას შორის ურთიერთობებში არაკონფლიქტურ (არაძალადობრივ) გარემოს, ხოლო სახელმწიფოს ექნება ლეგიტიმური უფლება ძალადობრივად დაიცვას სიმშვიდე.

ზემოაღნიშნული ემილ დიურკეიმის ტერმინი „ანომია“ პოლიტოლოგიაში უფრო ცნობილია თომას ჰობსის „ბუნებრივი მდგომარეობის“ დეფინიციით. ხოლო, უმთავრესი სხვაობა ბუნებრივ მდგომარეობასა (ანომიას) და სამოქალაქო წესრიგს შორის, ჰობსის მიხედვით, არის ძალის გამოყენების თავისუფლების პრობლემატიკა. ინგლისელი ფილოსოფოსის აზრით, ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანებში მოქმედებს მთავარი წესი – „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“ (Hobbes, 1651, გვ. 77). ხალხის ცხოვრებას, სადაც ძალადობის პრიმატი ყოვლად ურთიერთგამოყენებადია და თავისუფალ წვდომაშია ავტორი აღწერს როგორც: „ეული, ღარიბი, საზიზღარი, სასტიკი და მოკლე“ (Hobbes, 1651, გვ. 96). აქედან გამომდინარე, აკეთებს დასკვნას, რომ ნებისმიერი ადამიანთა ერთობა, ხელმძღვანელობს რა ძალადობის შიშით და „მიისწრაფვის ამოვიდეს ბუნებრივი მდგომარეობიდან და შექმნას სამოქალაქო საზოგადოება [წესრიგი]“ (Hobbes, 1651, p. 286), რაც, ჰობსის მიხედვით, გულისხმობს ადამიანების მხრიდან ძალადობის გამოყენების თავისუფლების დათმობასა და სახელმწიფოსთვის (ლევიათანისთვის) მის გადაცემას, საკუთარი და, მაშასადამე, საყოველთაო მშვიდობისათვის.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ადამიანის ძალის დათმობა სრულიად არ ხდება. კარლ შმიტის თანახმად: „შეუძლებელია პოლიტიკა გაიწმინდოს ყველა ანტაგონისტური ენერგიისაგან, რადგან კონფლიქტი ჩადებულია ადამიანის არსში და ადამიანის ბუნების განუყოფელი თვისებაა“ (Schmitt, 1932). აქედან გამომდინარე, ფუნდამენტური სხვაობა ისაა, რომ სოციალური წესრიგის პირობებში ძალადობა არის ინსტიტუციონალიზებული – მმართველი ელიტა ფლობს ლეგიტიმურ ძალაზე მონოპოლიას და, რაც მთავარია, სოციალური სისტემის „ლეგიტიმურობა ნიშნავს, როდესაც ხალხის მიერ პოლიტიკური სისტემა აღიქმება, რომ საზოგადოებაში ძალაუფლება [იძულების განხორციელების პრივილეგია] გადანაწილებულია არსებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და საყოველთაოდ მისაღები და სამართლიანი“ (Petersson, 2016, გვ. 54).

ძალის პრობლემატიკა სოციალურ ურთიერთობებში სიღრმისეულად აგრეთვე შესწავლილი აქვს ფილოსოფოს რენე ჟირარს. ფრანგი მოაზროვნე ძალადობას განმარტავს შემდეგნაირად: ძალადობა არის „პროცესი, როდესაც ორი ან მეტი მონაწილე ფიზიკური ან სხვა საშუალებით ცდილობს ხელი შეუშალოს ერთმანეთს იმ საგნის დაპატრონებაში, რომელიც სწადიათ“ (Girard, 1978, 8.1). ხოლო, ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ადამიანის სურვილები (ციტატაში გამოყენებადი ტერმინი „სწადიათ“) და მათი მიღწევის ინსტრუმენტები არის „მემე-

ტური“[2]. ჟირარი იზიარებს გაბრიელ ტარდეს იდეას (Tarde, 2016, გვ. 16-21; გვ. 42-44), რომ კულტურის ფუნდამენტში დევს ადამიანის მიბაძვის (იმიტაციის) უნარი (Girard, 1978), მაგრამ, იგი ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული არა მხოლოდ კონსტრუქციული შედეგების მომტანია საზოგადოებისთვის, აგრეთვე ნეგატიურ გამოვლინებასაც ატარებს, რადგან მიბაძვა ხდება ძალადობის საკითხშიც. ფილოსოფოსი ამას ასაბუთებს შემდეგნაირად: მემეტიზმი (მიბაძვა), უპირველეს ყოვლისა, სუბიექტის სურვილებზე ვრცელდება - ინდივიდი საკუთარი თანატომელის მიბაძვით, უმთავრესად, სწავლობს ისურვოს ის საგნები, რაც სურს მას. ხოლო, იქიდან გამომდინარე, რომ სურვილები ემთხვევა ერთმანეთს (ერთი და იგივე საგნებს), ხოლო სურვილების ობიექტი, რეალურად, შეზღუდული რაოდენობითაა, რის გამოც იწყება კონკურენცია დეფიციტური საგნების დასაუფლებლად.

ჟირარის აზრით, რელიგიის ფუნქცია, განსაკუთრებით მისი რიტუალების, არის თავიდან აიცილოს ზემოაღნიშნული ძალადობრივი მეტოქეობა კონტროლირებადი ძალადობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ და სოციალურ დისკურსს რომ დავუბრუნდეთ - სოციუმს თვითგადარჩენისთვის აუცილებლად სჭირდება თავიდან აიცილოს ადამიანებს შორის ძალადობრივი უთანხმოება (რომელიც ვრცელდება ქაოტურად, უკონტროლოდ და ურთიერთმიბაძვის გზით) – ძალაუფლების ინსტიტუციონალიზაციის გზით. ჟირარის აზრით, რელიგიამ მიაგნო იმ ფენომენს, რომ „რიტუალიზებული“ (კონტროლირებადი და მიზანმიმართული) ძალაუფლება არის საზოგადოების „გამაერთიანებელი“ და ჯგუფის შიგნით ძალადობის შემაკავებელი ინსტრუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ჟირარის რელიგიის, როგორც ძალადობის შემაკავებელი ინსტიტუტის ბუნებაზე კვლევა არის ინოვაციური, ფრანგი ფილოსოფოსი არ არის პირველი, ვინც სოციალურ სტაბილურობაში ძალის მნიშვნელობის ფენომენს მიაგნო. კლასიკურ პოლიტიკურ თეორიაში ეს ტრადიცია უკავშირდება ჰობსს, ბულენვილს და კლაუზევიცს – სამ ფიგურას, რომლებსაც მიშელ ფუკო სოციალური წესრიგის შესწავლისას განიხილავდა წიგნში „საზოგადოება უნდა იყოს დაცული“ (Foucault, 2003). ფუკო აკავშირებს ჰობსს, ბულენვილს და კლაუზევიცს ძალის პრობლემატიკის დისკურსში და გამოთქვამს ჰიპოთეზას, რომ ინსტიტუციონალიზებული (ჟირარის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რიტუალიზებული“) ძალადობა წესრიგის მომტანია. შესაბამისად, პოლიტიკა მჭიდროდ გადაჯაჭვულია ძალადობის ფენომენთან. შემაჯამებელ არგუმენტად გამოდგება ლიპატოვის მოსაზრება: „პოლიტიკური ძალადობა არის კლასების, ერების, სოციალური ჯგუფებისა და სოციალური ინსტიტუტების იდეოლოგიურად განსაზღვრული და მატერიალურად უზრუნველყოფილი საქმიანობა, რომელიც მიმართულია იძულებითი საშუალებების გამოყენებაზე, რათა მოპოვებულ ან შენარჩუნებულ იქნეს სახელმწიფო

[2] ტერმინი „მემი“ ბერძნულიდან წარმოიშვა და „იმიტატორს“ ნიშნავს, იგი არის გენის ერთგვარი ანალოგი და განიმარტება, როგორც კულტურის მცირე ერთეული, გონებაში არსებული „სხეული“, რომელსაც აქვს უნარი გავრცელდეს რამდენიმე ადამიანში მიბაძვის გზით. იხ. უფრო ვრცლად: Dawkins, R. (2016) The Selfish Gene. Oxford: Oxford University Press

ძალაუფლება, რომლითაც, თავის მხრივ.... იმართება შიდა სოციალური პროცესები" (Lipatov, 1989, გვ. 5).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით: ძალადობა არის ამბივალენტური – ერთი მხრივ, იგი შეიცავს ანომიის, ქაოსის საფრთხეს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი წესრიგის მომტანია და, უმთავრესად, ქმნის ინსტიტუციონალიზებული, ლეგიტიმური იძულების განმახორციელებელ სისტემას – სახელმწიფოს.

აღნიშნული თეორია აუცილებლად უნდა გადავიტანოთ საერთაშორისო ურთიერთობების დისკურსშიც, რის შედეგადაც ვასკვნით, რომ „ძალა" განსაზღვრავს ფუნდამენტურ დონეზე საერთაშორისო წესრიგის ფორმირებასა და ნგრევას – ძალას ერთდროულად აქვს, როგორც შემოქმედებითი, ისე გამანადგურებელი პოტენციალი.

ჩვენი კვლევა სცილდება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის დეფინიციას, როგორც ქვეყნის ხელთ არსებულ რესურსს დაიკმაყოფილოს და დაიცვას საკუთარი ინტერესები და აგრეთვე მეორე თეზისს, რომ ძალა (ომი) არის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის კოლაფსის მთავარი ინსტრუმენტი. ძალას, რეალობაში, გაცილებით უფრო ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს – ხმამაღალა ნათქვამი იქნება, მაგრამ, ვფიქრობთ, ძალა ბუნებრივი კანონზომიერებაა, რომელსაც ყოველთვის უბრუნდება ადამიანის შემოქმედებითი და დესტრუქციული გამოვლინებები; იგი არის ადამიანის, როგორც მატერიალური გამოვლინება, აგრეთვე მისი ბუნებრივი (ფსიქოლოგიური, სულიერი) ნაწილი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა აღნიშნული ცნების განვითარება და მასზე სიღრმისეული რეფლექსირება.

დასკვნა

ინგლისელი ფილოსოფოსი დეივიდ დოიჩი წერდა: „ჩვენ მივაღწიეთ ცოდნის ამჟამინდელ დონეს არა იმიტომ, რომ შევკრიბეთ და ერთ ადგილას თავი მოვუყარეთ უამრავ თეორიას [.....] ჩვენი დღევანდელი ცოდნა, აშკარა და იმპლიციტური, არ არის უბრალოდ მრავალრიცხოვანი და დიდი, ის განსხვავდება თავისი სტრუქტურით. როგორც ვთქვი, თანამედროვე თეორიები რაოდენობრივად ნაკლებია, მაგრამ ისინი უფრო ზოგადი და ღრმაა" (Deutsch, 1997, გვ. 14). დოიჩის მიერ აღწერილი ცოდნის თანამედროვე მდგომარეობა შეიქმნა არსებული თეორიების, ცნებების, კონცეფციებისა და იდეების გაღრმავებითა და მუდმივი გადამუშავებით. მცდარი მიდგომაა ის დამოკიდებულება, რომ ნებისმიერი ტერმინის ზუსტი განმარტება არის მისი შემქმნელის პირველადი ახსნა. ნებისმიერი ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი ცნება აუცილებლად უნდა განიცდიდეს ევოლუციას და ერგებოდეს როგორც თავის, ისე სხვა დისციპლინების მიღწევებს. სხვა შემთხვევაში იგი გახდება არარელევანტური და მალევე დაკარგავს აღწერლობით და ინტერპრეტირების პოტენციალს.

აღნიშნულმა პროცესმა დიდი გავლენა იქონია პოლიტიკის მეცნიერებებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტერმინზე – „ძალაზე". უახლესი ისტორიული პროცესების, ახალი მეცნიერებების, მეინსტრიმისა და სხვა მიზეზების გამო „ძალის პრობლემატიკის" კვლევები სულ უფრო და უფრო დაშორდა პოლიტიკურ-ფილოსოფიურ კვლევებს და, რეალურად, შემცირდა. აქ აგრეთვე დიდი როლი შეასრულა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის პოზიტივიზმისა და პრაგმატიზმის იდეების პოპუ-

ლარობამ, რის შედეგადაც ცნება „ძალა“ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში ხშირად აღიქმება ვიწროდ ინსტრუმენტული მახასიათებლების მქონე ფენომენის სახით, რომელიც, თავის მხრივ, საერთაშორისო აქტორის, როგორც სრულიად რაციონალური აგენტის იდეით საზრდოობს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მიერ ძალის ფენომენი განიხილება ორი მიმართულებით: ძალა, როგორც სახელმწიფოს ხელთ არსებული ინსტრუმენტი (მატერიალური რესურსების ერთობა); ძალა, როგორც საერთაშორისო წესრიგის დაშლის კატალიზატორი. აღნიშნული მიდგომები, ჩვენი აზრით, ცალმხრივია, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს ძალის ამბივალენტურ და კანონზომიერების ხარისხის მქონე ბუნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალას აქვს როგორც მატერიალური, ისე მეტაფიზიკური (ფსიქოლოგიური და სულიერი) ხასიათი; აგრეთვე, ძალა არ არის მხოლოდ სისტემის ნგრევის ინსტრუმენტი, იგი შემოქმედებითი კატეგორიაა, რომელიც ქმნის და ინარჩუნებს სისტემებს.

ვფიქრობთ, თანამედროვე მეინსტრიმში არსებული ტერმინ „ძალის“ გაგება არამხოლოდ დროს ჩამორჩება, არამედ, ხშირ შემთხვევაში, შეცდომაში შეჰყავს მკვლევრები. აღნიშნული პარადიგმის არასრულფასოვნებას და ანალიტიკურ სისუსტეს კარგად გამოხატავს მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომი: დღემდე მკვლევრები ცდილობენ მათემატიკური ფორმულების დონეზე აღწერონ კრემლის მიერ 24 თებერვალს განხორციელებული აქტის მიზეზები და მიზნები და ამ დანაშაულებრივ სისხლისღვრაში ეძებონ რუსეთის „ეროვნული ინტერესების ნიშნები“. აღსანიშნავია, რომ ომის მიმდინარეობასთან ერთად მოსკოვის ე.წ. ეროვნული ინტერესებიც იცვლება: დაწყებული უკრაინის განეიტრალებისა (როგორც თვითონ უწოდებენ „დენაციფიკაციის“) და ნატოს შეკავების მცდელობიდან, დასრულებული ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკით, ომის მსვლელობის წარუმატებლობასთან ერთად კრემლი ცვლის ომის დაწყების მიზეზებსა და მიზნებს – კიევის ვერაღებამ პოლიტიკური დღის წესრიგიდან ჩამოაშორა უკრაინის რუსულ ორბიტაზე მობრუნება; ფინეთის ნატოში გაწევრიანებამ გააქარწყლა კრემლის „ნატოს არგაფართოებისა და შეკავების პოლიტიკა“; ხოლო შემდეგი ნაბიჯი იქნება პეკინთან სტრატეგიულ-პარტნიორული ურთიერთობების ვერდამყარება, რომელიც პუტინის კიდევ ერთი ახალი სტრატეგიის კატალიზატორი იქნება. აღნიშნული ცვალებადობა გვაფიქრებინებს, რომ რუსეთის ფედერაცია არ არის რაციონალური აგენტი, რომელიც მოქმედებს საკუთარი ინტერესების პრიზმაში, ვინაიდან თვითონ „რუსეთის სახელმწიფო ინტერესები“ არამდგრადი, არაერთგვაროვანი ფენომენია, მეტიც, იგი ერთი ავტორიტარი მმართველის ამბიციების გამოხატულებაა, და არა ერის კეთილდღეობის გაუმჯობესების მცდელობა. რუსეთი, ისევე როგორც ადამიანი, ილუზორული დიდებისა და წარმოდგენების ტყვეობაშია, რომლებსაც, მიზანმიმართული პროპაგანდის მეშვეობით, რუსეთის ეროვნულ ინტერესებს ვეძახით.

მეოცე საუკუნის ტრაგიკულმა მოვლენებმა მეცნიერული მიმართულებებიდან ყველაზე ძლიერი დარტყმა მიაყენა პოლიტიკურ კვლევებს. ძალადობისადმი ნეგატიურმა დამოკიდებულებამ (ჩვენ ვიტყოდით, შიშმა), გამოიწვია ის ეფექტი, რომ პოლიტიკის მეცნიერების ცენტრალური ცნებების – ძალისა და იძულების (და მისგან გამომდინარე

თეორიების) კვლევა ძლიერ შენელდა. აღნიშნულმა გამოიწვია ის ეფექტი, რომ დღეს არსებული „ძალის“ კონცეფცია ვერ უძლებს ობიექტურ კრიტიკას და ხშირად არარელევანტურია. ამასთანავე, ზოგიერთმა მეცნიერმა, მაგალითად ჩვენ მიერ ნახსენებმა ჰარარმა, გვიჩვენა პოტენციალი, რომ კლასიკური ცნებების გადამუშავებითა და ახალი თეორიების შეთავაზებით უკეთესი (უფრო სიღრმისეული და რეალობას მორგებული) მეცნიერული კვლევების ჩატარებაა შესაძლებელი.

ტერმინ „ძალის“ კვლევა თანამედროვე მოვლენებზე რეფლექსირების საფუძველზე მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ვფიქრობთ, ნიშანდობლივი და სიმბოლურია ერთი მოვლენა: 2023 წლის 1 მარტს ბერლინში ცნობილი „კაფე მოსკოვის“ დროებით „კაფე კიევად“ გადარქმევის ცერემონიაზე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა თქვა ასეთი ფრაზა: ჩვენ ვფიქრობდით, რომ კანტის სამყაროში ვცხოვრობთ, მაგრამ აღმოჩნდა რომ ჰობსის რეალობაში ვართ. ჩვენი აზრით, აღნიშნული ეპითეტი საუკეთესოდ ასახავს პოლიტიკურ კვლევებში „ძალის“ ცნების პრობლემატიკას – მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული მშვიდობის მშენებლობის პროცესმა და მშვიდობის უალტერნატივობის განცდამ გამოიწვია ის ეფექტი, რომ მასობრივად დაიწყო ძალისა და ძალადობის პრობლემატიკის კვლევების იგნორირება – პოლიტიკური და საერთაშორისო სკოლების ზეგავლენით ძალამ მიიღო ვიწროდ მატერიალურ-ინსტრუმენტული ხასიათი და ამაზე შეწყდა დისკუსია. შეიქმნა განცდა, რომ ძალადობა ადამიანის ბუნების ნიშანი აღარაა და იგი მის ცხოვრებაში სადღაც შორს, მიუღწეველ წიაღში არსებობს, შესაბამისად, მისი კვლევისა და ანალიზის საჭიროება მეორეხარისხოვანია. რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა კლასიკურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში დამკვიდრებული აქსიომა, რომ ძალა ადამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილია, ხოლო მისი იგნორირებით ჩვენ ვიღებთ მხოლოდ იმ რეალობას, რომლისთვისაც მოუმზადებლები ვართ და სიღრმისეულად ვერ ვაცნობიერებთ თუ რა ხდება.

ლიტერატურა

1. Haass, R. (2019). How a world order ends: And what comes in its wake. *Foreign Affairs, 98(*22).;
2. Berdyaev, N.A. (1930). Add to Selected Truth and Lies of Communism. *Way, 30,* 3-34;
3. Hobbes, T. (1651). Leviathan or the Matter, Forme, & Power of a Common-wealth Ecclesiasticall and Civill. London.;
4. U.S.News: Power - https://www.usnews.com/news/best-countries/rankings/power [07.05.2023];
5. Mirhady, D.C. (1195.) A Note on “Aristotle Rhetoric" 1.3 1358b5-6 // Philosophy & rhetoric, 405-409;
6. Von Vacano, D.A. (2006). *The art of power: Machiavelli, Nietzsche, and the making of aesthetic political theory.* Lexington Books.;
7. Barnett, M., Duvall, R. (2005). Power in International Politics. *International Organization, 59,* 1, 39-75.;
8. Pascal, B. (1994). *Thoughts.*;
9. Morgenthau, H. (1967). *Politics among Nations.* N.Y.: Knopf.;

10. Kissinger, H. (1997). *American Foreign Policy*. N.Y.: Norton.;
11. Nye, J. (2004). *Soft Power: The Means to Success in World Politics.* PublicAffairs;
12. Nye, J. (2006). *In Mideast, the goal is 'smart power'.* The Boston Globe;
13. Harari, I.N. (2022). *21 Lessons for the Twenty-First Century*. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House;
14. Baklanov, P.Ya. (2003). On the categories of modern geopolitics. *"Izvestiya RAN" Geography Series, 2*(11);
15. Butterfield, H. (1951). *History and Human Relations.* Collins, St. James Place, London Publisher;
16. Herz, J.H. (1951). *Political Realism and Political Idealism.* Chicago: University of Chicago Press;
17. Herz, J.H. (1961). *International Politics in the Atomic Age.* New York: Columbia University Press;
18. Jervis, R. (1978). Cooperation Under the Security Dilemma. *World Politics, 30*(2).;
19. Jervis, R. (1988). Realism, Game Theory, and Cooperation. *World Politics, 40*(4).;
20. Jervis, R. (1999). Realism, Neoliberalism, and Cooperation: Understanding the Debate. *International Security, 24*(1).;
21. Jervis, R. (1982). International Organization. *International Security, 36*(2).;
22. Jervis, R. (2001). Was the Cold War a Security Dilemma? *Journal of Cold War Studies, 3*(1), 36-60.;
23. Jervis, R. (1982). Security Regimes. *International Regimes, 36*(2), 357-378;
24. Taliaferro, J.W. (2010). *Defensive Realism: Toward a Coherent Statement.* New York: Palgrave-Macmillan;
25. Schmitt, C. (2015). The Concept of the Political: Text from 1932 with a foreword and three corollaries. Berlin: Duncker & Humblot. (In German);
26. Mikhailovsky, A.V. (2008). Fight for Carl Schmitt. On the reception and relevance of the concept of the political. *Questions of Philosophy, 9.*;
27. Eco, U. (2003). *Inventing the Enemy: Essays. HarperVia*;
28. Schmitt, C. (2007). *The Concept of the political.* Chicago: The University of Chicago press, 2007;
29. Berger, P.L. (1967). *The Sacred Canopy: Elements of a Sociological Theory of Religion.* Garden City: Doubleday.;
30. Petersson, B. (2016). *Legitimacy, Popularity, and the Construction of Political Myth: Contemporary Discussions.* Paint Petersburg: Russian Academy of Sciences.
31. Girard, R. (1978). Interview: Rene Girard. *Diacritics, 8*(1).;
32. Dawkins, R. (2016). *The Selfish Gene.* Oxford: Oxford University Press;
33. Tarde, G. (2011). *The Laws of Imitation.* Moscow: Academic Project Publishing.;
34. Girard, R. (1978). Things Hidden since the Foundation of the World. Paris: Grasset Publ. (In French);
35. Foucault, M., Bertani, M., Fontana, A., Ewald, F., Macey, D. (2003). *Society Must Be Defended: Lectures at the College De France, 1975–1976, 1st ed.* New York: Picador.;
36. Lipatov, M. (1989). *The essence and main forms of political violence in modern conditions (Philosophical and sociological analysis).* Author's abstract, dis. Cand. ped. Sciences.
37. Deutsch, D. (1997). *The Fabric of Reality.* Penguin Books.

UDC 327
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-3-150-172

Conceptual problems of power in international relations

Davit Khupenia Department of Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava Str.
E-mail: khupenia.d@gtu.ge

Omar Lortkipanidze Address.Department of Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava Str.
E-mail: omikolordkipanidze@gmail.com

Reviewers:

S. Midelashvili, Doctor of Political Sciences, Associate Professor, Faculty of Law and International Relations, GTU

E-mail: midelashvilisopo07@gtu.ge

V. Modebadze, Doctor of Social Sciences, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU

E-mail: omikolordkipanidze@gmail.com

Abstract. In international relations the concept of "power" is one of the most important categories within which the main problem of relations between countries is analyzed – the issue of war and peace. Based on "strength", international actors analyze each other's capabilities and evaluate the degree of stability of the international system. The concept of "power" plays an important methodological role among scientists and analysts of international relations. But, despite this, we argue that the term "power" is often misinterpreted (especially in fields outside of political science), moreover, too often have a stereotypical character unsuitable for science.

We found the conceptual problematic of the term "power" in the sciences of politics and international relations. We think that the wrong interpretation of the mentioned concept leads to analytical errors: wrong political decisions are made based on the wrong understanding of the strength of countries and the power in public life, which prevents the prevention of war and the building of sustainable peace.

The present study analyzes the reasons for the negative attitude to the concept of "power" in modern scientific fields outside of political science; weaknesses of established definitions in international relations (attention is paid to the views of representatives of the School of Neorealism) are also investigated, and successful examples of rethinking the mentioned concept are given. Also, in the article, we investigate the historical evolution of the mentioned term and try to present the relevance of the problem and the need for conceptual development of the term in the concluding part.

Keywords: concept development; power; security dilemma.

განხილვის თარიღი 10.05.2023
შემოსვლის თარიღი 16.05.2023
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.09.2023